დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის
26 თებერვალი, 2020

საკონტაქტო პირი:
თბილისი: დიანა ჩაჩუა
dchachua@ndi.org / +995 577 77 96 39
ვაშინგტონი: ჯერი ჰართსი
jhartz@ndi.org / +1 202 728-5500

საქართველოს აქვს შანსი, განიმტკიცოს რეგიონში დემოკრატიული ლიდერის პოზიცია

„ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის“ განცხადება

თბილისი, საქართველო

“ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, საქართველოს რეგიონში დემოკრატიული ლიდერის პოზიციის განმტკიცების შანსი ეძლევა,” - განაცხადა “ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის” (NDI) პრეზიდენტმა დერეკ მიტჩელმა ქვეყანაში ვიზიტის დასრულებისას, - “როგორც ამ მნიშვნელოვან წელს ისე მომავალშიც, NDI გააგრძელებს ქართული დემოკრატიის მხარდაჭერას.”

დერეკ მიტჩელი საქართველოს 24-26 თებერვალს სტუმრობდა. ეს საქართველოში მისი პირველი ვიზიტი იყო. ქვეყნის დემოკრატიის განვითარებასა და NDI-ის პროგრამებზე სასაუბროდ ის თბილისსა და მარნეულს ესტუმრა.

სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში მიტჩელი შეხვდა: პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტარებს, მმართველი პარტიისა და სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების თავმჯდომარეებს, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს, მერებსა და საკრებულოს წევრებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ქალ პოლიტიკოსებს, ახალგაზრდა ლიდერებსა და დიპლომატიური საზოგადოების წარმომადგენლებს. NDI დიდ მადლობას უხდის მათ დათმობილი დროისათვის და მოსაზრებების გაზიარებისთვის.

შეხვედრების მთავარი თემა წინასაარჩევნო გარემო და საქართველოში NDI-ის საქმიანობა იყო.

“საქართველოს დასავლელი მეგობრები, მათ შორის NDI, არჩევნებისთვის მზადების პროცესს ყურადღებით დააკვირდებიან”, - განაცხადა მიტჩელმა, - “მნიშნელოვანია, რომ საზოგადოებას საარჩევნო პროცესებისადმი ნდობა გააჩნდეს. ამის უზრუნველსაყოფად აუცილებელი იქნება: ქვეყნის საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით დროული და ფართო კონსესუსის მიღწევა; კანდიდატებისა და პარტიების უფლებების დაცვა, რათა მათ პოლიტიკური დევნის შიშის გარეშე შეძლონ არჩევნებში მონაწილეობა; არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის, შეკრებისა და აზრის გამოხატვის უფლების დაცვა; პოლიტიკურ პროცესებში ქალების უსაფრთხო და თანასწორი მონაწილეობის ხელშეწყობა; ახალგაზრდების ჩართულობისთვის კონსტრუქციული გარემოს შექმნა და პოლიტიკური პოლარიზაციის თავიდან არიდება, რაც საფრთხეს უქმნის ეროვნულ ერთიანობას და გარე არალიბერალური ძალების გავლენებს აძლიერებს.”

1994 წლიდან დღემდე, NDI საქართველოში პარლამენტთან, პოლიტიკურ პარტიებთან, საკრებულოებთან, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან თანამშრომლობს, რათა ხელი შეუწყოს ქვეყნის დემოკრატიის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისკენ სწრაფვას. NDI ყოველთვის ითვალისწინებს პარტნიორების საჭიროებებს. ინსტიტუტი მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც მმართველ პარტიასთან, ისე ოპოზიციურ პარტიებთან და არ ანიჭებს უპირატესობას რომელიმე პოლიტიკურ ძალას. საქართველოში NDI-ის მთავარი მიზანი გამჭირვალე, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობაა და არა არჩევნებში რომელიმე კონკრეტული შედეგის მიღწევა.

NDI საქართველოში რეგულარულად ატარებს საზოგადოებრივი აზრის კვლევებს, რათა გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და აქტივისტებს მოქალაქეთა შეხედულებებისა და პრიორიტეტების შესახებ სანდო ინფორმაცია მიაწოდოს. NDI-ის გამოკითხვები და ფოკუს ჯგუფები მთავრობის წარმომადგენლებთან და პარტიებთან კონსულტაციის გზით ტარდება. დერეკ მიტჩელის ვიზიტის ფარგლებში პარტნიორებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ კვლევის მიგნებები ფართოდ გამოიყენება როგორც პარლამენტის წევრების, ისე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ საკანონმდებლო და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მმართველი პარტია და ოპოზიციური პარტიები კვლევის შედეგებს ორგანიზაციული განვითარებისა და საარჩევნო სტრატეგიების შემუშავებისთვისაც იყენებენ.

დამატებითი ინფორმაცია NDI–ისა და მისი პროგრამების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org

###